

დაკვირვებანი ქართულ საშობაო სიმღერებზე

საშობაო სიმღერები მთელს საქრისტიანოშია გავრცელებული. საუკუნეთა მანძილზე ისტორიულ გარემოებათა ცვალებადობამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ფორმის და შინაარსის საშობაო სიმღერების წარმოქმნას, მათ შორის არა მხოლოდ ხალხურის. დასავლეთში, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სამყაროში, სადაც ლათინურ ენაზე სრულდება ღვთისმსახურება, ზოგიერთ ყველაზე ძველ საშობაო საგალობელს ეროვნულ ენაზე გალობენ, არსებობს, აგრეთვე, საშობაო სიმღერები, შექმნილი პროფესიონალი მუსიკოსების მიერ სამეფო კარზე და ქალაქებში. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, შობის დღესასწაულს ოჯახურ წრეშიც ზეიმობენ, რამაც დიდად შეუწყო ხელი საშობაო სიმღერის შენარჩუნებას.

როგორც ჩანს, მართლმადიდებლური სამყარო ნაკლებად შემწყნარებელი აღმოჩნდა ფორმათა ასეთი აღრევის მიმართ. ლიტურგიის ენა ხალხურია. საზოგადოების სეკულარიზაცია იყო არა მდორე, თანდათანობითი ურბანიზაციის პროცესი, არამედ სწრაფი, ძალისმიერი და, ამდენად, ნაკლებად ეფექტურიც. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ საშობაო სიმღერა, ანუ როგორც მას საქართველოში უწოდებენ, *ალილო*, ასე მკვეთრად განსხვავებულია დასავლეთის საშობაო სიმღერისაგან. საინტერესოა, როგორ მიაღწია ქართულმა ალილომ, პროფესიონალ მუსიკოსთა მონაწილეობის გარეშე, ასეთ განსაცვიფრებელ მხატვრულ დონეს. ეს საკითხი მთლიანად ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლის ფონზე უნდა განიხილებოდეს.

I

დღეისათვის ალილოს კრებული არ არის გამოცემული. ის ნიმუშები, რომლებიც მომისმენია,* არ მოიცავენ საქართველოს ყველა კუთხეს. ალილოს მღერიან კახეთსა და იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში, აჭარაში¹, რაჭასა და ლეჩხუმში, აგრეთვე, სვანეთში. რაც შეეხება თუშურ, მთიულურ და მესხურ² ალილოს, ჩემთვის მხოლოდ მათი ტექსტებია ცნობილი. ცენტრალურ ქართლში კი, როგორც ია კარგარეთელმა (1899: 29) ჯერ კიდევ 1899 წელს შენიშნა, „ეს ჩვეულება აღმოფხვრილა და მასთან კილოც მოსპობილა“. და მაინც, ალილო ყველაზე გავრცელებული ქართული სანესჩვეულებო სიმღერაა.

ალილოს მუსიკალური ფაქტურა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვანაირია, ზოგჯერ ერთი რეგიონის ფარგლებშიც თავს იჩენს ნაირგვარობა (რაჭა, იმერეთი, გურია). მათ ერთი კრიტერიუმი აერთიანებთ: ყველა მათგანი სტროფულია.

ყველაზე მარტივ ვარიანტებში ყველაფერი მეორდება. ისინი მოკლე –

* იხ. დანართი — ალილოების გამოყენებული ჩანაწერები.

4, 5, 6, ან ორჯერ ხუთტაქტიანია (მ1, კ1, რ9, გ1, ლ1). დამწყები ჰარმონიულ განვითარებაშია ინტეგრირებული. მისი სოლო წარმოადგენს პირველ საფეხურს, რომელსაც შემდეგ სამხმიან მონაკვეთში უპასუხებს ბანი მეშვიდე საფეხურზე (კ1, მაგ. 1. იხ. დანართი). დამწყების სოლო შეიძლება მომდევნო სტროფებში განმეორდეს სამხმიანი წყობით (მ1, მაგ. 2). ორ ვარიანტში მას ისეთივე რიტმული სტრუქტურა აქვს და ისეთივე ხანგრძლივობა, როგორც სტროფს (რ10, მთის რაჭის სოფელ გლოლაში ჩანერილი ალილო, მაგ. 3, და ზემო სვანური ანტიფონური „ქრისტემ“, მაგ. 3ა). მათი მსგავსება შემთხვევითი არ არის. მთის რაჭა ხომ 1432 წლამდე სვანეთის ნაწილი იყო (მაკალათია, 1930:9). მას შემდეგ ენა შეიცვალა, სვანური – ქართულით, ხოლო მუსიკალური დიალექტი იგივე დარჩა.

ალილოთა უმრავლესობას უფრო ჩამოყალიბებული ფორმა აქვს. დამწყების სოლო არ მეორდება, ხანდახან მას სხვა სოლო ცვლის (მ3, ლ1).

რაჭასა და კახეთში სწორედ ის სოლო გვევლინება განმასხვავებელ მელოდიურ ნიშან-თვისებად. რაჭულში, სოლოს ორი შემსრულებელი თანმიმდევრულად იყოფს, ამასთანავე, სრულდება ორი განსხვავებული ფორმით, იმის მიხედვით, ზემორაჭულია თუ ქვემორაჭული (რ4, მაგ. 4ა; რ7, მაგ. 4ბ).

დასავლეთ საქართველოში, იშვიათად კახეთშიც, ალილოს დამწყების პარტია სამხმიან განვითარებას აღწევს (გ3, გ4, გ8, ლ1, კ5, კ7, კ8, კ9), რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი, ან ისეთივე კადანსი, როგორც მომდევნო სტროფებს აქვთ (რ6, რ9, მ3, ი1, ი2, ა, კ8, კ9). უმეტესად კადანსი მხოლოდ მზადდება, და დაუსრულებლად, ერწყმის სტროფის დასაწყისს (რ4, რ10, რ7, მ2, მ5, მ6; კ3, კ3.1, კ5, კ7, ლ2, ლ3, ქს). მუსიკა თითქოს იკვრება მბრუნავ წრედ. და, ბოლოსდაბოლოს, შეკვეცილი სტროფით ჟღერს სრული კადანსი, რომელიც თითქოს ამ უსასრულო წრიდან თავის დაღწევის საშუალებად გვევლინება.

სტროფი თითქმის ყოველთვის ორი კონტრასტული ნაწილისაგან შედგება. ერთია უტექსტო, მეორე კი, შინაარსიანი სიტყვიერი ტექსტის მქონე მონაკვეთი. კახეთში (კ2, კ4, კ5) განმეორებადი მოტივი, ანუ ერთი, ან ორსაფეხურიანი ტექსტის რეჩიტაცია კონტრასტულია მაღალი ხმების დიალოგით, რომელიც ზოგჯერ გადაეწევა ერთმანეთს. აგრეთვე (გ3, რ6, რ7, რ8) გვხვდება კონტრასტული აკორდების თანმიმდევრობა ბურდონზე და პარალელური სამხმოვანი ჯაჭვი. შესაძლოა ხმის განსხვავებული ტექნიკა (გამყივანი) მისამღერში გამოიყენებოდეს (მ6).

ხშირად უტექსტო ნაწილში განვითარება ისეთ ინტენსივობას აღწევს, რომ შემდგომი ტექსტიანი ნაწილი აღიქმება როგორც განტვირთვა (ი 2, მაგ. 5. ყურადღება იქცევს აღმავალ-დაღმავალი ტეტრაქორდი. იგივე უკვე შეგვხვდა მაგ. 2-ში და შემდგომშიც შეგვხვდება).

კონტრასტის წარმოსაქმნელად ტონალური ცენტრი გადაინეწვს ხოლმე. საწყის ტონალობაში დაბრუნება ხან ხდება, ხან კი – არა. ამგვარად იქმნება სიმღერათა ისეთი ტიპი, რომლის ყოველი სტროფი ახალ სიმალღეზე ჟღერს. ჩვენ ვიცით, რომ ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელია აღმავალი მიმართულებით ლტოლვა (რ5 და რ7, ამ უკანასკნელისგან შემორჩენილია ვერ-

სია მოდულაციის გარეშე, რბ). და მაინც, ზოგჯერ დაღმავალი მოდულაცია გვხვდება. აკუსტიკურ რეალობაში ეს დადაბლება არ ისმის იმიტომ, რომ სტროფის მანძილზე აღმასვლისაკენ ლტოლვა დადაბლების ფაქტორის საწინააღმდეგოდ მოქმედებს (ქს, მაგ. 6, და ლ3, მაგ. 7, რომლებიც იმდენად ერთნაირად ჟღერს, რომ ისინი ერთი და იმავე სიმღერის ვარიანტებად შეიძლება წარმოვიდგინოთ.)

II

ალილოს სტროფული სტრუქტურის შემქმნელი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების კვლევამ გამოავლინა მხოლოდ ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი ზოგადი დიალექტური თავისებურებანი. მსგავსი ფორმალურ-სტრუქტურული მახასიათებლისა და ზოგიერთ ნიმუშში წარმოდგენილი ტეტრაქორდის გარდა, რა განსაკუთრებული ზოგადქართული ნიშნები აქვს ალილოს?

პირველყოვლისა, აღსანიშნავია ალილოს ტექსტი. როგორც წესი, იგი ოთხი ძირითადი მოტივისაგან შედგება: 1. დღესასწაულის გამოცხადება, ხშირად ზუსტი თარიღის აღნიშვნით, ხანდახან, ასევე, ბიბლიური საშობაო ამბის ელემენტებით (მ1 და გ1, ორივე მარტივი ფორმა); 2. შობისა და უმეტესად, ამავე დროს, საახალწლო დღესასწაულის მილოცვა; 3. მინიშნება მოსალოდნელ საჩუქრებზე (კ1, კ2: „მადლი მახარობელსა“; რ7: „ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ვართ ქრისტეს მახარობელი“; მ2: „არაფიო ბაიარაფიო, თქვენ მაჩუქეთ ფულეზიო“), და ბოლოს, 4. დალოცვა (რ6, რ7, რ8, ლ1, ლ2, ლ3, ქს, ი2: „აქა მშვიდობა“; ი1: „თქვენი სიცოცხლე“; კ2, კ3, კ3.1, კ4, კ5, კ6, კ7, კ9: „სახლო, ღმერთმა აგაშენოს“; კ8: „მრავალჟამიერ“). ცხადია, ამით არ ამოიწურება სიტყვიერი ტექსტების შინაარსობრივი არეალი: „ენა ტიკტიკ მერცხალს გიგავს, ინდოეთით გადმოსულსა“ (კ6); „ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახის „ქრისტე იშვაო““ (ლ2). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეგრულ და სვანურ ალილოს ხშირად ქართულ ენაზე ასრულებენ. მხოლოდ მ3 მთლიანად მეგრულია. მნ იწყება ქართულად და მთავრდება მეგრულად, მ4 კი მთლიანად უტექსტოა. სავარაუდოა, რომ საეკლესიო და სამწერლობო ენაზე შესრულებით სიმღერას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს.

ყველა კუთხის ალილოს მეორე საერთო ნიშანიც აქვს – მათ კარდაკარ სიარულისას მღერიან. „ალილო: სახლით სახლათ დადიან კაცები და ფულსა ჰკრეფენ ამ ალილოს მომღერლები“, ასეთია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისეული (1861:158) მოკლე დახასიათება. შესრულების ასეთი წესისაგან ჩემთვის მხოლოდ ერთი გამონაკლისია ცნობილი: ზემოსვანური „ქრისტემ“, რომელიც ბ. ნიჟარაძისეული ცნობით სუფრასთან იმღერებოდა. „სვანეთში, შობის წინა დღეს მთელ სოფელს ერთი მასპინძელი ჰყავდა არჩეული, რომელიც ყველას ინვევდა სადილ-ვახშამზე და გულუხვადაც ხვდებოდა. სანადიმოდ მსხდომნი ამბობდნენ შობის სიმღერას ორპირულად“ (ჩიქოვანი, 1976: 303). მეგრული ალილოც სოფ. აბაშიდან ორპირულია (მ1), მაგრამ ამ შემთხვევაში გარეთ იმღერება მეალილოებსა და მასპინძლებს შორის (ცნობა მოგვანოდა ზურაბ გუგუშვილმა).

ალილოს შესრულება 24 დეკემბრის ღამის რიტუალების დამაგვირგვინებელი ნაწილია. დილაუთენია იწყება კორკოტის ან ჭანტილის ხარშვა, „ყოველგვარ თესლეულს სამ-სამ კაკალს ჩაყრიდნენ და ნახარშის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ, მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად“. ნიგვზიან სარიტუალო ნამცხვარზე, განატეხზე სამ სანთელს დაანთებენ და მხოლოდ საღამოს მიერთმევენდნენ ამ ღოცვის წაკითხვის შემდეგ: „ღმერთო! რამდენი კაკალი ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეც, იმდენი კოდი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება და იმდენი კოდი ხვარბალი მოგვეცი-ო.“ ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე „ყურეში“ მიაკრავდნენ და სანამ არ დაინვებოდა, არ ჩააქრობდნენ“. ამის შემდეგ მოდიოდნენ „მეალილოები, ე.წ. ქრისტეს მახარობელნი, ზოგჯერ გადაცმულები და დათხუპნულები, რომ ისინი ვერ ეცნოთ, დადიოდნენ მთელი ღამის განმავლობაში და სადაც დაათენდებოდათ, იმ ოჯახში იქეიფებდნენ“ (აბაკელია და სხვ. 1991:12, 17).

სიმღერის ასეთი რიტუალური კონტექსტი და რიტუალის ასახვა ტექსტებში მხოლოდ ალილოსათვის არ არის დამახასიათებელი. ის სხვა მრავალი კალენდარული სიმღერებისთვისაც ნიშანდობლივია, თუმცა მათი გავრცელების არეალი შეზღუდულია. მეგრული საშობაო და საახალწლო *კირიალესა* (ბერძნული „უფალო შეგვიწყალებ“¹) სრულდება ყოველთვის მეგრულ ენაზე. ტექსტი შეიცავს ბედნიერების სურვილს უფრო კონკრეტულად და აგრეთვე, ბოროტისაგან ხსნის შინაარსს (იხ. გელაშვილი, 1992:5). იმავე სახელწოდების სააღდგომო საფერხულო *კირიალესო* (იხ. ანჩისხატის გუნდი, 1991) იცოდნენ იმერეთში. რაჭული ფერხული *ქრისტე აღსდგა* ადრე ზემო იმერეთშიც გავრცელებული იყო, სადაც სრულდებოდა ჩვეულებრივად წირვის გამოსვლის, შემდეგ ყოველი სახლის წინ (არაყიშვილი, 1950:27; ჯავახიშვილი, 1990:68). ქართლური და იმერული *ჭონა მ. გიორგაძის* (1993:21) ცნობით რაჭაშიც გავრცელებული იყო და სრულდებოდა არა მხოლოდ ვნების კვირაში, არამედ შობის წინაღღესაც. *ჭონა* ყველაზე მეტად უახლოვდება ალილოს თავისი ფუნქციით (სრულდებოდა კვერცხების აგროვების დროს) და ტექსტობრივი ელემენტებით: „არიელსა მარიელსა, ნუ გაგვიშვებ ცარიელსა“ (რ9); „არაქასა ბარაქასა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“ (მ2). და ბოლოს, ქალთა რეპერტუარის ის სიმღერები, რომლებიც ამინდის შესაცვლელად იმღერება (გონჯა, ელია, ლაზარე, დიდება. მაგალითები იხ. ანს. „მზეთამზე“, 1996:1,35,13,28).

არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ კალენდარულ დღესასწაულთა ციკლში რიტუალური ფორმები მეორდება. შვეიცარელი მკვლევარი რიხარდ ვაისი აღნიშნავს: „ერთი შეხედვით მრავალფეროვანი და ზოგჯერ გაუგებარი დღესასწაულებისა და რიტუალების მიმოხილვისას მჟღავნდება, რომ გამომსახველობის ზოგიერთი მარტივი ფორმა ან საშუალება – როგორც საღმრთო სასწაულო ქმედების შემადგენელი ნაწილი – უძველესი ვეგეტატიური, ან მიცვალებულის კულტებიდან დაწყებული, თანამედროვე წეს-ჩვეულებების ჩათვლით, ყოველთვის მეორდება. ეს საწესო ელემენტები წარმოადგენენ, ასე ვთქვათ, შემოფარგლულ, უცვლელ ანბანს, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე მუდმივად ცვალებადი ენა აღწერს ხალხური კულტურის და რწმენის შინაარსს.“ (Weiss, 1984:161)

„ანბანის“ ეს ელემენტები, როგორც ჩანს, კულტურულ-გეოგრაფიულ საზღვრებსაც შორდება, რაც მათ არქაულ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. მილოცვებითა და საჩუქრების მოთხოვნით კარდაკარ სიარული არც დასავლეთისათვის არის უცხო³, თუმცა, ხანდახან განსხვავებულია საწესო ელემენტების გამომსახველობა. შვეიცარიაში ე.წ. „მთხოვნელთა გუნდი“ დადის და, სიმღერის ნაცვლად, თავის მოსვლას ხმაურით (სხვადასხვა საგანზე დარტყმით) ატყობინებს ხალხს (Hoffmann-Krayer, 1992:82,83).

რუსი ეთნომუსიკოლოგის იზალი ზემცოვსკის აზრით, „მაგიურ მოვლენათა ცალკეულ სადღესასწაულო ელემენტთა განმეორება შემთხვევითი არ არის. ის მკაცრად განსაზღვრულია და, მართლაც, რა კონკრეტული ფორმითაც არ უნდა სრულდებოდეს რიტუალი, ეს იქნება ბუნების ძალთა შელოცვა თუ სხვა, მისი მუსიკალური ფორმისათვის მნიშვნელოვანია არა სარიტუალო მრავალფეროვნება, არამედ თვით შელოცვის ფაქტი, რაც მელოდიკის განსაკუთრებულ ტიპს აყალიბებს. მაგ., შელოცვის მუსიკალურ ფორმას“ (Čai ōi ānǎǎ, 1968:102). სლავური არეალის სიმღერებს მყარი მუსიკალური ფორმულა უდევს საფუძვლად, რომელსაც მათი ფუნქციონალური მიზანმიმართულება და მუსიკალური სემანტიკა განსაზღვრავს.

სავარაუდოა, რომ საქართველოშიც არის ასეთ ფორმულათა კვალი. იქნებ ეს აღმავალ-დაღმავალი ტეტრაქორდია, რაც გამოკვლეულ ალილოთა შორის 5 რეგიონის 10 ვერსიაში გვხვდება: მ1 და ლ1-ში გვხვდება დამწყების სოლოში, ი1, ი2, ლ3, ქს-ში სტროფის დასაწყისში, გ7 და გ9-ში ორჯერ, გ1-ში სხვა რიტმით, გ5 ნაკლებად ცხადად, იწყებს ბანზე კვინტით მაღლა. არ გვხვდება რაჭასა და კახეთში. ჩნდება ყოველთვის შუა ხმაში, ამოდის ბანის უნი-სონიდან, შეიცავს მკაფიო რიტმს და არა აქვს სიტყვიერი ტექსტი (განსაკუთრებით აღმასვლისას), ხოლო დაღმასვლაში, რომელიც ისედაც ვარიაციულია, ჩანს მოდალური შეფერილობა (ი1, ლ3, ქს, გ9).

კარდაკარ სასიარულო სხვა სიმღერებში ასეთ ფორმულას ჯერჯერობით ვერსად წავაწყდით. სამაგიეროდ, იგი დასტურდება მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებულ სიმღერებში, როგორიცაა *ნადური*⁴ (მაგ. 8ა,ბ), თოხნის შედეგ შესრულებული სარიტუალო *ელესა*⁵ (მაგ. 8გ), რომლითაც „პატრონს უსურვებდნენ უხვი მოსავლის მოწევას“ (ერქომაიშვილი, გამომცემელი, 1987: დანართი 12) და მოსავლის აღების სიმღერები⁶. თუ კი გავიხსენებთ ზემოაღნიშნულ სარიტუალო ვახშამს, მის სამზადისს და შემდეგ სტრიქონებს ალილოს ტექსტიდან, „აშენებით აგაშენოს, როგორ შიოს მარანიო“ (ლ1), საგულისხმო ხდება შინაარსობრივი მსგავსება ამ ჟანრულად განსხვავებული სიმღერებისა. ი. ზემცოვსკიმაც სლავურ სიმღერებში ასეთივე მსგავსება აღმოაჩინა: „მოსავლის აღება წარმოადგენს კალენდარულ რიტუალთა მთავარ მიზანს, სწორედაც ეს შინაარსი უდევს ამ სიმღერებს საფუძვლად. ყველა აგრარულ დღესასწაულზე უმღერიან მოსავლის აღებას, მინის ნაყოფიერებასა და დოვლათს“ (Čai ōi ānǎǎ, 1968:110). რაც შეეხება ნაღს, მოსავლის აღების გარდა, მას ალილოსთან სხვა ელემენტებიც აკავშირებს. ორივე მათგანი სოფლის საზოგადოების ძლიერების დემონსტრირებას ახდენს.

რასაკვირველია, ერთი ნიშანი ანბანს ვერ ქმნის. ჩვენ ჯერ კიდევ შორსა

ვართ ტეტრაქორდის ფორმულის სემანტიკის განსაზღვრისაგან. საბოლოო დასკვნებისათვის საჭიროა ყველა იმ სიმღერის შესწავლა, სადაც აღნიშნული ფორმულა დასტურდება⁷. კალენდარული სიმღერების ციკლის დეტალური გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ განსხვავებული ფორმულებიც, რომლებიც, მიუხედავად ქართული მუსიკალური ფოლკლორის მრავალფეროვანი ლოკალური თავისებურებისა, ერთი და იმავე სემანტიკის მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს. სამომავლოდ აუცილებელია იმ კრიტერიუმების მიგნება, რომლებიც გარკვეული სემანტიკის მქონე ფორმულებს დანარჩენთაგან განასხვავებს და, ამასთანავე, გათვალისწინებული იქნება ქართული მუსიკალური კულტურის არსებითად მრავალხმიანი აზროვნება (მისი ვერტიკალური კონტექსტი).

III

ივანე ჯავახიშვილი ნიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ 1938 წელს წერდა: „ალილო არასგზით წარმართული სიმღერების ჯგუფში ჩასათვლისი არ არის (...) ჰანგითაცა და შინაარსითაც ქრისტიანული, საეკლესიოა“. (ჯავახიშვილი, 1990:9) ვფიქრობ, ასეთი კატეგორიული მსჯელობა არ იქნებოდა მთლად მართებული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალილო ქრისტიანული სიმღერა არ არის. როგორც მიიჩნევენ, შობასაც ხომ ერთ-ერთი წარმართული დღესასწაულის ნაცვლად ზეიმობენ, *Natalis solis invicti* (უძლეველი მზის დაბადების დღე)⁸. ეს დღესასწაული ზამთრის მზის ცვლას ემთხვევა. იულიანეს კალენდრის ასტრონომიულმა უზუსტობამ წაშალა ეს დამთხვევა და კალენდარში ეს ადგილი სხვა დღესასწაულმა დაიკავა, როგორც თუშეთში ძვ. სტილით 9 (22) დეკემბრის “მზებუდობა”: როცა მზე სახლს მოადგება, სარკმელში დებენ მაჭკატს, მატყლს, ერბოს და ანთებულ სანთელს და ასე დაილოცებიან: „მზეო, მზის ყოლო ანგელოზო, დაგელოცა სავალი და სადგომიო. დაგვადექი თვალწაღმე და გულწაღმე, ბედით მომავალო; დაგვიწერე კაცსა მთაშიო და ბარშიო. გვიმატე ფურსა, ფურის ხბოსა, ფურის წველასა!“ (მაკალათია, 1983:190).

შესაძლოა, თავად სიტყვა „ალილოში“ უნდა ვეძიოთ სიმღერის ბუნებრივ-მაგიურ და ქრისტიანულ ასპექტებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთმიმართება. იმ დროს, როცა გამეფებულია აზრი, რომ „ალილო მომდინარეობს საეკლესიო ლოცვების ბოლოს სათქმელი სიტყვიდან – ალილუია, რომელიც თავის მხრივ ებრაული წარმოშობისაა: ჰალელუია, – „აქებდით ღმერთსა“ (ჩიქოვანი, 1976:303), მუსიკისმცოდნე-მკვლევარი ედ. გარაყანიძე წერს, რომ „სიტყვებით „ლალე“ და „ლილე“, აგრეთვე, დღეს უშინაარსო „ალალო“-თი ქართულ სიმღერებში წარმართულ ღვთაებებს მიმართავდნენ“ (CD ანს. „მთიები“ 1996: ბუკლეტი).

უჩქველია, რომ აღნიშნული წინააღმდეგობა სიმღერებშიც იგრძნობა. თუმცა გვხვდება მაგალითები, სადაც ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობა ჩანს. ამგვარ სიმღერებში ტექსტები წმინდა რელიგიური ხასიათისაა, არ არის მილოცვები, აქ მხოლოდ შეგონება და მოწოდებაა: „ვიხილოთ შობა

უფლისა და დღე სიხარულისა“, ასე უღერს ერთ-ერთ გურულ ალილოში (გ7, მაგ. 9). მას არც დამწყები ჰყავს, არც სტროფი. მოცემულია სამი კადანსი, სადაც ხდება მაღალი ხმების გადაჯვარედინება. შიდა კადანსები კვინტურია, საფინალო კი – უნისონური. ყველაფერი ეს მიგვანიშნებს გურული ტრადიციების გამშვენებულ კილოზე. ამგვარ იმერულ ალილოს (ი4) აქვს უფრო გრძელი დაწვრილებითი ტექსტი, რომელიც ღმერთის ადამიანად ყოფნაზე მოგვითხრობს. მისი კადანსები, მისი 5 პნკარის არათანაბარი სიგრძე და მაღალი ხმების მელიზმატური შესრულება პარალელურ ტერციებში მოგვაგონებენ გალობის სადა კილოს. ბანი, როგორც რეჩიტატიული ბურდონი, თითქოს ქრებაო. გ7-ში (4-8 ტაქტი) გამეორება ერთი საფეხურით დაბლაა, ი4-ში (ტ.12) კი პირველი და მეორე პნკარები მესამის შემდეგ ერთი საფეხურით დაბლა მეორდება. როგორც ჩანს, აქ საქმე უნდა გვექონდეს შეგნებულ სტილისტურ ხერხთან. გურული ნიმუშის ჩამწერი, ბატონი ა. ერქომაიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთ ალილოს „გალობითს“ ეძახდნენ, რადგანაც გალობას ჰგავსო. აი, სწორედ აქ ჩნდება ორჯერ ტეტრაქორდი (ტ. 1-3 და 11-12). როგორც ჩანს, მისი ჩემს მიერ ნავარაუდები სემანტიკა მომღერალთა ცნობიერებიდან გამქრალა. ქართული საშობაო სიმღერების მრავალფეროვნება ჟანრის განვითარების ხანგრძლივ და რთულ გზაზე მიუთითებს.

თარგმნა რენა ზაქარაიშვილმა

შენიშვნები

¹ „ალილოს აჭარაში კრძალავდნენ. (...) გურიაში გადადიოდნენ, იქიდანაც გამოდიოდნენ“ (გიორგაძე, 1993:15). ერთად ერთი მაგალითი (ა) გ7-ის მარტივი ვერსიაა.

² *თუშეთი*: მაკალათია, 1983:191, *მესხეთი*: ჩიქოვანი, შამანაძე 1976:58, 18, *მთიულეთ-გუდამაყარი*: გიორგაძე, 1993:13.

³ შობას და ახალ წელს კარდაკარ სიარულის სიმღერები გერმანულენოვან შვეიცარიაში იხ. von Greyerz, Bern 1976:1, 40, III, 8, V, 64, VI, 6. – რობერტო ლეიდის იტალიური ხალხური სიმღერების ანთოლოგია (Roberto Leydi, 1973) შეიცავს 11 ე.წ. Canti di questura-ს (კალმასობის სიმღერას) სხვადასხვა დღესასწაულებზე (შუა ნოემბრიდან მაისის დასაწყისამდე) შესასრულებელს.

⁴ *აჭარა*: ქალი ვიყავ აზნაური (ახობაძე, 1961:202, 203, 206); *საჯავახურაი*, (ახობაძე 1961: 222); *გურია*: შემოქმედურაი (ჩიჯავაძე, 1971:209/10); *ლენხუმი*: სოფ. ლასურიაშის ნადური (ჩიჯავაძე, 1971:387); სოფ. ლუხვანოს ნადური (ჩიჯავაძე, 1971:397); სოფ. ლუხვანოს ძველი ნადური (ჩიჯავაძე, 1971:403); *ქვემო სვანეთი*: სოფ. ჩოლურის ნადური (ჩიჯავაძე, 1971:439); სოფ. ხოფურის ნადური (ჩიჯავაძე, 1971:442).

აღმოსავლეთ საქართველოსა და რაჭაში მხოლოდ ცალკეულ მაგალითებს თუ ნაანწყებობს. *ქართლი*: თოხნური ჩან. ვ. მჭედლიშვილისაგან გრ. კოკელაძის მიერ (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის არქივი, 1951); *კახეთი*: სიმინდსა თოხნა დაეუნყოთ (ჩხიკვაძე, 1960:262); *რაჭა*: მუშური. ჭრებალო 1937 (არაყიშვილი, 1950:63, 3)

⁵ *აჭარა*: (ახობაძე, 1961:272); *გურია*: სოფ. მაკვანეთი 1907 (ერქომაიშვილი, 1987: ფი 1); ქვენობანი (ჩიჯავაძე, 1971:261); ჩოჩხათი (ჩიჯავაძე, 1971:284); ლიზა-

ირი, ჩან. კ. ფოცხვერაშვილის მიერ (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის არქივი, 896)

⁶ **იმერეთი:** ნადური (კოკელაძე, 1984:71); ხრეთის ნამგლური (ჩიჯავაძე, 1971:380); **გურია:** მოკლე ხელხვაი (კოკელაძე, 1984:72); **სამეგრელო:** შრომის სიმღერა (კოკელაძე 1984: 64); ოჩეშხვი (კოკელაძე, 1979:34); **ქართლი:** ხვედურეთის ჰერიგა 1901 (ჩხიკვაძე, 1960:101); **კახეთი:** არხალალო (ბაქრაძე, 1978:7)

⁷ მას ვხვდებით გურულ საბოდიშოში, (კოკელაძე, 1984:22), გურულ ფერხულსა (კოკელაძე, 1984:163), მეგრულ და იმერულ მგზავრულეებში (კოკელაძე, 1984: 154,157).

ძნელია მისი წარმომავლობის დადგენა მეგრულ ჩელაში ჩონგურის თანხლებით და ხასაბგურას ორხმიან გადაძახილში.

⁸ **Furius Dionysius Philocalus „Depositio Martyrum“-ში** (345 წ.) ქრისტეს დაბადების დღედ ასახელებს 25 დეკემბერს და მიუთითებს ამ დღესასწაულის წარმართულობაზე. როგორც **Natalis Solis Invicti**, რომელიც იმპერატორი აურელიანეს (275) შემდეგ სახელმწიფო დღესასწაული იყო რომის იმპერიაში. (იხ. Wegmann, 1994:142, 143)

ალილოების გამოყენებული ჩანანერები

კახეთი:

კ1 მატანი ჩან. 1960-1962 (ჩიჯავაძე, 1969:86)

კ2 ართანა ჩან. 1960-1962 (ჩიჯავაძე, 1969:9)

კ3 ართანა 1987 (Minoru Morita, 1997: 1 5)

კ3.1 ანს. „მთიები“ (Ensemble „Mtiebi“, 1996: 1 7)

კ4 თელავი ჩან. 1954 - 1958 (ჩიჯავაძე, 1962:70)

კ5 კარგარეთელი, 1899:29, 1 12

კ6 კონდოლი (ანჩისხატის ტაძრის გუნდი, „ძველი კილოები“, 1999/2000: 1 19)

კ7 შილდა ჩან. 1954-1958 (ჩიჯავაძე, 1962:139)

კ8 გრ. ჩხიკვაძის ჩანანერი ვ. მჭედლიშვილისაგან 1949 წ. (ჩხიკვაძე, 1960:349)

კ9 გურჯაანი, 1967 (Grimaud, 1989: 1 20)

იმერეთი:

ი1 ანჩისხატის ტაძრის გუნდი, 1998:1 30

ი2 სამტრედია, 1988 (ანს. „სანავარდო“, 1988:1 3)

ი3 როსებაშვილი, 1981:10, 1 4

ი4 ანჩისხატის ტაძრის გუნდი, 1998:1 29

სამეგრელო:

მ1 აბაშა ედიშერ გარაყანიძის ჩანანერი, ნოტირებული ნინო კალანდაძის მიერ, ხელნაწერი

მ2 მ. ჩირინაშვილის ჩანანერი 1949 (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1 1725)

მ3 ანს. „რუსთავი“, 1991:1 38

მ4 ხაბუე 1950, ვლ. ახოზაძის ჩანანერი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1 1750)

მ5 წალენჯიხა 1956 (ჩიჯავაძე, 1974:102)

მ6 წალენჯიხა 1967 (Grimaud, 1989:1 19)

გურია:

გ1 ნოტირებული მ. ხუხუნიშვილის მიერ, ხელნაწერი

გ2 ანს. „რუსთავი“, 1991:1 44

გ3 ჩოხატაური, 1990 (ანსამბლი „გურია“, 1990:1 2)

გ4 ა. მეგრელიძის ჩანანერი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1 914)

- გ5.1 ვლადიმერ ბერძენიშვილი (ხუჭუა, 1968:ფ1, 1 3)
 გ5.2 ვლადიმერ ბერძენიშვილი, 1991:2
 გ6.1 *მაკვანეთი* 1907 (ერქომაიშვილი, 1987:ფ.II, 1 17)
 გ6.2 *ასკანა* 1933, გრ. ჩხიკვაძის ჩანაწერი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1 863)
 გ7 „გალობითი ალილო“ ნოტირებული ანზორ ერქომაიშვილის მიერ, ხელნაწერი
აჭარა:
 ა ბათუმი 29. 11. 1973, კახი როსებაშვილის ჩანაწერი (ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის ფონოარქივში)
რაჭა:
 რ1 *უნერა* 1908 (არაყიშვილი, 1916:279 1 7)
 რ2 *სოფ. ხირხონისის გლეხებისაგან* 1908 (არაყიშვილი, 1916: 295 1 10)
 რ3 *ონი* 1908 (არაყიშვილი, 1916:297 1 1)
 რ4 ონის რ-ნის სახალხო გუნდი შალვა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. (“Georgian Folksongs” 1988: 1 8)
 რ5 *შეუბანი (ლაჩთა)*, 1949, შ. ასლანიშვილის ჩანაწერი (ქართული მუსიკის ინსტიტუტი, 1964:31, 1 9)
 რ6 *ქვაცხური* 10.08.1951, გრ. ჩხიკვაძის ჩანაწერი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი, 1 1479)
 რ7 *ამბროლაური* 19.10. 2000 წ., ანს. „საგალობელი“, ავტორის ჩანაწერები
 რ8 *სალხინო* 25.08.51, გრ. ჩხიკვაძის ჩანაწერი (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელნაწერთა ფონდი 1 1481)
 რ9 *სორი*: ონის რ-ნის ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი (შ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით). 27.7.02 ავტორის ჩანაწერი
 რ10 *გოლა* 28.7.02, ავტორის ჩანაწერი
 რ11 „ბავშვთა ალილო“ ჩან. კახი როსებაშვილის მიერ სპარტაკ რეხვიაშვილისაგან
ლეჩხუმი:
 ლ1 1949 მ. ჩირინაშვილის ჩანაწერი (ჩირინაშვილი, 1975:100, 1 31)
 ლ2 *ზუბი* ჩან. ოთარ ჩიჯავაძისა და რუსუდან სიმონოვას მიერ (სიმონოვა, 1983: 144, 1 39)
 ლ3 *ჭკუთელი* 1967, (Grimaud, 1989:1 18)
ქვემო სვანეთი:
 ქს *ლენტეხი* 1985 (ანს. „ლილე“, 1985:1 4)
ზემო სვანეთი:
 ზს1 „ქრისტეში“ მესტია 1979, მღერის გრიგოლ რატიანის ოჯახი, საქართველოს რადიო-ტელევიზიის ფონდი 8842 მაგ. ფირი
 ზს2 „ცხაუ ქრისტეში“, დ. არაყიშვილის ჩანაწერი (ახობაძე, 1957:152, 1 96)

მადლობას ვუხდით მითითებისა და რჩევებისთვის ქ-ნ ნინო კალანდაძეს, სიმღერების ნოტებზე გადაღებაში დახმარებისათვის ბ-ნებს არჩილ და მალხაზ უშვერიძეებს.

დამონმებული ლიტერატურა

- აბაკელია, ნ. ალავერდაშვილი, ქ. და ლამბაშიძე, ნ. (1991). *ქართულ ხალხურ დღე-ობათა კალენდარი*. თბილისი: კრიალოსანი
- არაყიშვილი, დიმიტრი. (1950). *რაჭული ხალხური სიმღერები*. თბილისი: ხელოვნება
- ახობაძე, ვლადიმერ (შემდგენელი). (1957). *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული*. თბილისი: ტექნიკა და შრომა
- ახობაძე, ვლადიმერ. (1961). *ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები*. ბათუმი: სახელმწიფო გამოცემა
- ბაქრაძე, მ. (შემდგენელი). (1978). *ქართული ხალხური სიმღერების კრებული*. კახეთი. თბილისი: ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი
- გელაშვილი, ქეთევან. (1992). *მეგრული მუსიკალური დიალექტი*. თბილისი: სადიპლომო შრომა, ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში № დ-07
- გიორგაძე, მარინა. (1993). *ქართული ხალხური კალენდარული სანესჩვეულებო პოეზია*. თბილისი: მეცნიერება
- კარგარეთელი, ია. (1899). *ქართული სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადმოღებული*. ტფილისი: ქართველთა შორის წერა-კითხის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, №37
- კოკელაძე, გრიგოლ. (1979). *50 ქართული ხალხური სიმღერა*. თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება
- კოკელაძე, გრიგოლ. (1984). *ასი ქართული ხალხური სიმღერა*. თბილისი: ხელოვნება
- მაკალათია, სერგი. (1983). *თუშეთი*. თბილისი: ნაკადული
- მაკალათია, სერგი. (1930). *მთის რაჭა*. თბილისი: სახელგამი
- როსებაშვილი, კახი. (1981). *ხალხური სიმღერები ჩანერილი და გადაღებული*. თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება
- სიმონოვი, რუსუდან. (1983). *ლენხუმი და ლენხუმური ხალხური სასიმღერო შემოქმედება*, თბილისი: სადიპლომო შრომა, ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში, №დ-17.
- ჩირინაშვილი, მიხეილი. (რედ.). (1975). *ქართული ხალხური სიმღერების კრებული: რაჭა. ლენხუმი. სვანეთი*. თბილისი: ხალხური შემოქმედის რესპუბლიკური სახლი
- ჩიქოვანი, მიხეილ; შამანაძე, ნოდარ. (რედ.). (1976). *ქართული ხალხური პოეზია ტ. 5: სანესჩვეულებო ლექსები*, თბილისი: მეცნიერება
- ჩიჯავაძე, ოთარ. (1962). *ქართული (კახური) სიმღერები, I*, თბილისი: ცოდნა
- ჩიჯავაძე, ოთარ. (1969). *ქართული (კახური) სიმღერები, II*, თბილისი: განათლება
- ჩიჯავაძე, ოთარ. (1971). *შრომის სიმღერა დასავლეთ საქართველოში*. ხელნაწერი, ინახება ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის არქივში, თბილისი 1/777
- ჩიჯავაძე, ოთარ. (1974). *ქართული სიმღერები. მეგრული. I* თბილისი: ხელოვნება
- ჩიკვაძე, გრიგოლ. (შემდგენელი). (1960). *ქართული ხალხური სიმღერა I* თბილისი: საბჭოთა საქართველო

ჯავახიშვილი, ივანე. (1990). ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი: ხელოვნება

ჯამბაკურ-ორბელიანი, ალექსანდრე. (1861). იბერიელების გალობა, სიმღერა და ლილინი, ტფილისი: ჟურ. „ცისკარი“, 1:141,160

von Greyerz, Otto, ed. (1976). Im Röseligarte. Schweizerische Volkslieder [შვეიცარული ხალხური სიმღერები], Bern: Francke Verlag

Hoffmann-Krayer, Eduard Neubearbeitung durch Paul Geiger. (1992). Feste und Bräuche des Schweizervolkes, [შვეიცარული ხალხის დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები], Zürich: Edition Olms

Leydi, Roberto. (1973). I canti popolari italiani [იტალიური ხალხური სიმღერები], Verona: Oscar Mondadori

Wegmann, Hermann A. J. (1994). Liturgie in der Geschichte des Christentums [ლიტურგია ქრისტიანობის ისტორიაში], Regensburg: Verlag Friedrich Pustet

Weiss, Richard. (1984). Volkskunde der Schweiz. [შვეიცარიის ეთნოგრაფია] 1945, Zürich und Schwäbisch Hall: Eugen Rentsch Verlag

Àðàè:èàà, Àè èòðèé. (1916). *Àðòçèí ñèí à íàðí àí í à ì òçú èàèúí í à òàí ð:àñòàí, Í òèèñé èç V. ò. Tððáí á Ì òçú èàèúí í -Ýò í í ãðàò è:áñíé é Èí ì èññèé, Ì ì ñèàà: Òèí ðàò èý Æ Èèñí í àðà è Æ.Ñí àèí.*

Çàì òí àññéé, Èçàèèé. (1968). *Èàèáí ààðí ù á í àñí è, èàè òèèé (è àí Ì ðí ñó Ì ì òçú èàèúí Ì ì ñèí ààðà). á èí.: Èðàí èàà, ð ðèé (ðàà.) Áí ò ðí ñú ò àí ðèé è àñò àò èèé ì òçú èé. Áú Ì .8, ñòð. 99-110, Èáí èí ðàà: Ì òçú èà*

*xèàààààçà, Ì òàð è Òàààéò àèèé, Ààèàðèáí. (ñí ñòààèòàèé). (1964). *Àðòçèí ñèéá í à ðí àí ù á í àñí è, Ì ì ñèàà: Ì òçú èà**

აუდიო ჩანაწერები

ანჩისხატის საპატრიარქო ტაძრის მგალობელთა გუნდი. (1991). „აღდგომასა შენსა“, გრამფირფიტა, თბილისი: Ì àèí àèý C 30 31585 006

ანჩისხატის ტაძრის გუნდი. (1998). „შუა საუკუნეების ქართული გალობა“, CD, Toronto: Deep Down Productions DDP5ANCD

ანჩისხატის ტაძრის გუნდი, ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“. (1999/2000). CD, საკონცერტო ჩანაწერი [თბილისი]

ბერძენიშვილი, ვლადიმერ. (1991). „უნიკალური ჩანაწერები“, გრამფირფიტა, თბილისი: Ì àèí àèý M30 – 48511 008 – 98

ერქომაიშვილი, ანზორ. (შემდგენელი, ტექსტის ავტორი). (1987). „პირველი გრამფირფიტები საქართველოში 1907-1914“, 5 გრამფირფიტა, თბილისი: Ì àèí àèý, M30 46905 003

„გურია“, ანსამბლი, ჩოხატაური. (1990). გრამფირფიტა თბილისი: Ì àèí àèý C30 - 30305 – 005

„ლილე“, ანსამბლი, ლენტეხი. (1985). „სვანური ხალხური სიმღერები“, გრამფირფიტა, თბილისი: Ì àèí àèý C30 21517 002

„სანავარდო“, სამტრედიის რაიონის ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი.

(1988). გრამფირფიტა, თბილისი: ი ან ი ან ი C30 27251 005

„ქართული ხალხური სიმღერები“. (1988). [სხვადასხვა ანსამბლები], გრამფირფიტა, თბილისი ი ან ი ან ი C90 27 289 003

ხუჭუა, პავლე. (შემდგენელი). (1968). „საქართველო ხალხურ სიმღერაში“ (ანთოლოგია), 3 გრამფირფიტა, თბილისი: ი ან ი ან ი A-016491

Grimaud, Yvette. (1989). „Géorgie – chants de travail / chants religieux“ [საქართველო – შრომის სიმღერა და რელიგიური სიმღერა], 1967 წ. ჩანაწერები, CD, Paris: Ocora C559062

Minoru Morita. (1997). „Georgia – The resounding polyphony of the Caucasus“ [საქართველო – კავკასიის ჟღერადი მრავალხმიანობა], 1987 წ. ჩანაწერები, გრამფირფიტა, Tokio: Victor Comp. of Japan, MCM 3004

„Mtiebi“, Ensemble. (1996). „Traditionelle Gesänge aus Georgien“ [ტრადიციული სიმღერები საქართველოდან], Stuttgart: Edition Musikat

„Mzetamze“, Ensemble. (1996). „Traditional songs of Georgian women“ [ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები] vol. I, CD, Thalwil: Face Music Switzerland FM50016

„Rustavi“, Ensemble. (1991). „Georgian Sacred Musik“, CD, USSR: ი ან ი ან ი SUCD 10-00270

სურათი 4ა. სოფ. შუბანის ვარიანტი, ონის რ-ნის სახალხო გუნდი მალეა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. (რ4)
 FIGURE 4A. *Sheubani*, Folk Choir of Oni conducted by Shalva Japaridze, (R4)

ა - ლო - ლო, ა - ლი - ლო და - აა.
 a - li - lo, a - li - lo da - ai.

სურათი 4ბ. ამბროლაურის რ-ნის ანს. „საგალობელი“. 1998 (რ7)
 FIGURE 4B. Ensemble “Sagalobeli” Ambrolauri. 1998 (R7)

ა - ი - ა - ლო - ლო, ა - ლი - ლო - ო - ლა ა
 a - i - a - li - lo, a - li - lo - i - da a

სურათი 5. ანს. „სანავარდო“, 1988, სამტრედია (ი2) ნოტირბული არჩილ უშვერიძის მიერ
 FIGURE 5. Ensemble “Sanavard”, 1988, Samtredia, noted by Archil Ushveridze (I2)

და და
 და და
 და და

სურათი 6-7. ანსამბლი „ლოლე“. ლენტეხი. 1985, ნოტირებული არჩილ უშვერიძის მიერ (ქს). ჟაკუთელი 1967, . Yvette Grimaud-ის ჩანაწერი, ნოტირებული არჩილ უშვერიძის მიერ (ღ3)
 FIG. 6-7. Ensemble "Lile". Lentekhi, 1985. noted by Archil Ushveridze, (qS). Tchikuteli, 1967, recorded by Yvette Grimaud, noted by Archil Ushveridze (L3)

6

ო-ხო, ჰო-ი, ოც-და ხუთ-სა, ოც-და ხუთ-სა, ოც-და ხუთ-სა
 o - ho, ho - i, ots - da khut - sa, ots - da khut - sa, ots - da khut - sa

ამ ოცე - სა
 am tve - sa

ქრი-სენე და ა-შვა
 qri - ste da i - shva

7

ო-ხო, ჰო ოც-და-ხუთ-სა ოც-და-ხუთ-სა
 o - ho, ho ots - da - khut - sa ots - da - khut - sa

ამ ოცე-სა - ო, დე-ლა,
 am tve - sa - o, de - la,

ბე - ი - ე - თემ - სა - ო, ო, ა - ლი - ლო, ო - ჰო, ო - ჰო

be - i - e - tlem - sa - o, a, a - li - lo, o - ho, ho - i

ა - ლი - ლო, ო - ჰო, ო - ი, ო - ჰო, ო - ი, ა - ლი - ლო, ო - ჰო, ო - ი

a - li - lo, o - ho, o - i, a - li - lo, o - ho, o - i

სურათი 8ა. აჭარული ნაღური, საჯავახურაი. ვ. ახობაძე: ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები. ბათუმი, 1961: 222

FIG. 8A. Acharian Naduri, Sajavakhurai. (V. Akhobadze: Kartuli (Acharuli) Xalxuri Singerebi. Batumi, 1961: 222

I

(ჰე) ლა-ლა-ლო, ვო, ლა-ლა-ლო, ლა-ლა-ლო, ჰე, ა-ლი, ა-ლა-ლი, ა-ლა.
(ჰე) ო - დე-ლა-სა, დე-ოვ, დე-ლა-ლა, ჰა-დი-ლე-ო, დე-ლა-ლა.
(ჰე) ჰო, ჰო, ჰო - ა-ვა, ჰო - ა-ვა, ჰე, ჰე.

სურათი 8ბ. ლეჩხუმური ნაღური. ო. ჩიჯავაძე, შრომის სიმღერა დასაცემთ საქართველოში (ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის არქივი) გვ. 387/8

FIGURE 8B. Lechkhurian naduri. O. Chijavadze, The Work Songs in Western Georgia (manuscript, scientific methodical centre for folk art) p. 387/8

II

ჰო, ჰო, ჰო - მინდ-სა ოო - ხნა და - ვუ - წყოთ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო.
ჰო, ჰო, ჰო, ჰო - მინდ-სა ოო - ხნა და - ვუ - წყოთ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო.

